# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 231

2012 წ. "8" 08.

ქ. თბილისი

**სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ოპიზარისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებაზე უარის თქმის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,ოპიზარს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 224066980) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | II | ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის კვალიფიკაცია. | 25 |
| 2. | სასტუმრო საქმისმწარმოებელი | III | სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 7-8 აგვისტოს №18 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ლალი ღოღელიანი